



№ 37

ვ. 11

კე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპანის“ სტამბაში. მისამართი: **თიფლისი რედ.-თეატრი და ცხოვრება** I. იმედაშვილი

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. —ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება. —რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 37

კ ვ ი რ ა 16 გ ი ო რ გ ო ზ ი ს თ ვ ე

1914 წ.

**16 გიორგობისთვა**

**ბუტაფორიის იარაღი**  
**მოღვაწენი** ხომ გაგიგონიათ? —ეს არის სცენაზე სახმარი ხის ანუ სქელი ქაღალდის გარედან შეჭრელებულ მოვარაყებელი ხმალ-ხანჯალი, თოფი, ფარი, ზუჩი ანუ მუზარადი, რომელიც შორიდან მაყურებელს ისე ეჩვენება, თითქო ოქრო-ვერცხლით შემკული ნამდვილი რკინა-ფოლადიაო.

სწორედ ასე გააყაბა, დააქუცმაცა ჩვენი ცხოვრების წვრილიმანობამ ჩვენებურ მოღვაწეთა უმეტესობა...

ჰხედავთ უჩაღოესი სწავლით აღტურვილს, ვითომ-და მალაღიდელებითაც გატაცებულს, რაოდენათმეცნობილს, აირჩევ საზოგადო საქმეში და... ერთ ყავლს (სამ წელიწადს) ისე გაათავებეს, რომ ვერც-კი მიჰხედეს—საზოგადოებამ რა მიანდო და რა უნდა გაეკეთებინა... და ასეთ კაცს ზოგნი ამართლებენ კიდევ—სამი წელიწადი მუქთად გემსახურათ და მეტი რა გინდათო?... მისი „სამსახური“ და „საქმის კეთება კი“ მხოლოდ ის იყო, რომ ორმოც-სამოც-ჯერ დანიშნულ გამგეობის კრებაზე ხუთათ-ჯერ თუ დასწრებია და ისიც —როცა მოსულა, დაგვიანებით, ნახევარი საათით, რადგან სხვა კრებიდან წამოსულა, და ისევ ჩქარა გაქცეულა, რადგან სხვა კრებაზე ყოფილა მისასვლელი... რა გაიგო, რა სთქვა, რა გააკეთა?—დიდ ანგარიშს არ უწევს; არც იმას დაგიდევს, თუ მასზე მინდობილი საქმე ერთ წერტილზე იყინება, ანუ ნელნელა სულს დაფავს... მას რა, იგი ხომ საზოგადო მოღვაწის სახელითაა ცნობილი!..

გავიდა სამი წელიწადი, ყავლი შეისრულა, მის ნაცვლად სხვა აირჩიეს. რას

შერება ეს გადამდგარი გამგეობის წევრი? თუ ქართ. დარ. საზ. გამგეობის წევრია ანუ წრისა, იგი არა თუ ახალ გამგეობას თვისის გამოკიდლებით (რაც უნდა იყოს, გამოცდა ექნება) ეხმარება, არამედ მისგან გამართულ წარმოდგენებსაც კი არ ესწრება. თეატრში რომ ქული შეუგდო—გამოსატანდაც არ შევა და თითქო იმასაც-კი ცდილობს, ახალმა გამგეობამ არაფერი გააკეთოს, რომ მით დამტკიცდეს წინა გამგეობის ვითომ და დიდი „ღვაწლმოსილება“... ასე იქცევა თითქმის ყველა ჩვენებური საზოგადო საქმის მეთაურთა უმეტესობა: აქტუარად, პირადის მეცადინეობით თუ არა, პასიურად, თვისის უმოქმედობით მიინც ისე იქცევა, რომ მის გარეითად სხვამ ვერაფრის ვაკეთება შესძლოს. ახალი თაობა წინა თაობის ნამოღვაწეებს არ ითვალისწინებს, მითი არ სარგებლობს, ძველი თაობა ახალ თაობას არ ეხმარება, არ აქეზებს, თითქო საზოგადო დაწესებულება მხოლოდ პიროვნებათა თავგამოსაჩენი ასპარეზი იყოს; ყველა მათგანი გენერლოზას—მთავარსარდლობას ჩემობს და ჯარის კაცობას, საქმის საკუთარი ხელებით კეთებას გაურბის...

საზოგადო მოღვაწის სახელის ტარება მის პირადის წარჩინებისთვის, თვისი თავის გამოჩენისთვის უნდა, —ოღონდ მასზე ილაპარაკონ, სწერონ, სხვას არას დაგიდევს...

რას უწოდებთ ამისთანა ადამიანებს, თუ არა ბუტაფორიის მოღვაწეებს?!

აიტომაც არის, რომ ჩვენი „საზოგადო მოღვაწენი“ გარეგნულად გარეშეებს—შორით მაყურებელთ—უბრძანებენ თვალს, შინაარსით, სინამდვილით —შინაურებს...

ნუ თუ ასეთ ბუჭაფორულ მოღვაწეობას ბოლო არ მოვლავ?

სხვათა შორის, დღევანდელმა ქ. შ. წ. კ გ. ს. კრებამ უნდა ფიზიკად ასწონოს თვის-მიერ არჩეული გამგეობის განვლილი საქმიანობა და თუ კი ვინმე ისეთი აღმოჩნდება, რომ გამგეობის წევრის სავაძღვლეს ტყვილად აბანდებს, ახლავ უნდა გადააყენოს,—ვინც უნდა იყოს იგი, სულ ერთია. შეიძლება კი მწერალი იყო, კარგი ქართული, პირადად დიდათ პატივსაცემი ადამიანი, საქმეში კი გამოუსადეგარი. ხილანდელ გამგეობის თითოეულ წევრს ცალცალკე დიდაც რომ დიდ პატივს ვესცემთ, მაგრამ თუ იგინი პირადი საქმეში გამო საზოგადო საქმის იმდენს ვერ უწოდებენ, რაც საქირთა—რათ უნდა ისხდენ საზოგადო საქმის სათავეში?!

ღრო მართლაც ისე ძვირად გვქვს იმდენი საქმე გვაქვს სწრაფად ვასაყეთებელი, რომ უმოკმედო კაცებით, ანუ მოუცლელ მოღვაწეებით ჩვენ საზოგადო დაწესებულებათა ვაგებება—იღი დანაშაულობა იქნება ქვეყნის წინაშე: საქვეყნო საქმე ქვეყნისთვის თავდადებულსა და მუყაით კაცს უნდა მიენდოს, თუნდა აისთვის ჯილდოს ვალებაც დაგვირდეს...

### ჩვენი ნატვრა

როს ცას ჯანლი ვავეკვრება, ვაღვეკვრება შვი რიდე, მწუხრის სახით ჩამოიკეკრს დაღვრემილი კილით-კიდე; როს ლურჯ ცაზე ვერა ვებდავთ მოკიაფე სხივებს მზისას, ვაცრეცილი არე-მარეც ვერ სკვრეტს დილას მაისისას, — მაშინ მე მსურს, მე სუსტს ძალას მე უმაქნისს, შვილს ძილისას, გამოემსხას მძოვარი ფრთები და ბრჭყალები არწივისა, რომ ფრთა ფრთას ეკრა, მყის ცას ვაგზრდმ, ცას შევეგხო ბრჭყალებითა, ვავკრა რიდეს, ვადავხო, ვემოკრებოთ ძალებითა; ღრუბელთ გროვა მიმოვფანტო, მიმოვფანტო გროვა მთელი, რომ კვლავ მდელოს, ხალხს, ქვეყანას, დაუბრუნდეს მზის ნათელი!...

—ქ. ქსნისპირელი



### მწერალი ქალი კატო მიქელაძე

პირველი ქართველი ქალი, რომელმაც სწავლა დაამთავრა ბრიუსელის (ბელგიაში) ახალ უმაღლეს სასწავლებელში საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტზე.

### ქართული ხელშეწყობისათვის

ადარ არან ქართული თეატრის შენობა, მაგრამ სიტყვადობს ქართული თეატრი და კვლავ იტოვებს მისთვის მრავალ ჟამიერ განახლებული და გაძლიერებული.

ეს იმედი, როგორც სხნს, უეკვას ქართველს დრმად აღბეჭდა გულში, რაც სუფუქვლია მგვიდრა მომავალისა. ახლა თეატრის შენობის აგების ეროვნულ საქმედ გადაქცევა ერთადერთი სხნა ჩვენი ხელაფნებისა. უეკვას ეს სომება, ვინც მოისმინას ან წაიკითხას, წელს სრულიად საქართველოს სტენის მადვანეთა ურდობასზე მიღებული სურვლები, რომელთა განხორციელებას დღესვე უნდა შევდგომოდით. ეს იქნებოდა მომასწავლებელი ჩვენი ხელაფნების სიტყვადობსა, მაგრამ იმავე დროს ჩემთვის პირადო ცხნადი იყო, რომ მათი განხორციელება იმ კვლავებში, რომელნიც დღეს ნანგრევებად დგანან, ზოგჯერ მეტად ძნელი და უმეტესად შეუძლებელი იყო და განგებამ იითქმის გზა მოგვცა და გვეუბნება: თუ თქვენ მარტო მოაფუბინას ხნთ, არამედ საქმის განგინი, ანუ ბურთა და მოვლანი შექმნით ის რაც თქვენ თვითონ ისურვეთო...

დღეს არავისათვის საიდუმლო არ არის, რომ ჩვენი თეატრი მეტად ცუდათ იყო აშენებული. გარდა გარეგანი სიღამაზისა, მას არ უვარგოდა არც სტენა, არც დარბაზი. ვერც ერთი რთული პეისის განხორციელება ვერ ხერხდებოდა ჩვენს სტენაზე.

საქართველოს  
საბჭოთაო  
საბჭოთაო



**ნ. ჯავახიშვილი**  
მსახიობქალი. ბენეფისის  
გამო ქუთაისის თეატრში



**კოტე მესხი**  
გარდაცვალებიდან ქვესტი  
თვის შესრულების გამო

ავგანად უნდა შეეუბნებოდნენ ჩვენის ხალხის მიერ შექმნილ ბრძნულ ანდაზას, რომ „სოციალური მარტოობა“ არა იმიტომ, რომ მოყვანილ უბედურებას არა ვგლოვობდნენ, არამედ იმიტომ, რომ „ჭირისა შიგან გამარტობა“ ისე უნდა ვით ქვეითობისა“ ჩვენი ტენიის არ იყოს და, დაწვენიებული ვარ, ამ ნაგრევებზე განახლებული ტანადი აღმოვჩნდებით.

„ეროვნობაზე“ შეძლების და გვარად ტვირთვალისწინებით ეოველივე მხარე ჩვენი თეატრის ცნობრებისა. უმწვეველი სკიითხი როგორც შეერთებულს, ზერედეკი ვომისიის სხდომისუდარეთსა სსუალების სკიითხი. არამც თუ ჩვენ, დიდ თეატრებსაც ვერთხის დიდ ტენტრებში არ ძალუბთ ტარეშე დახმარების მიუღებლად არსებობას. მით უფრო ჩვენითვის ეს სკიითხი ერთი ან დიდი მოსავლელია.

ის დრო, როდესაც სტენაზე დაფას დადგამენ და ზედ წასწრდენ „რეკ“ თუ „მინდორი“, „სასახლე“ თუ „ქობია“, წყვილად. დღევანდელ მკურნებულს ასეთი პრაქტიკული გამოცხება დეკორატივისა არ აკმაყოფილებს. როდესაც მკურნებელი დარბში შემოდგამს ფეხს და სვავრძელში წამოიჭიმება ბილეთითურთ, ის ამბობს: „მე ბილეთი მივიღია, ფული მიმიღია, მასსულვარაჲ, თქვენთან, რომ მიზღობ ჩემი დანახარჯი.“

სხვა გვარი ფილმისთვია მკურნებლისათვის არ არსებობს.\*)

დღეს არამც თუ უნდა ელამარტო მკურნებელს, უნდა დავამყოფილო მის სქენასთან ერთად ხედვაც, ჩასწვდე სულის სიდრმეში და უხილავი ჯაჭვით მიახას რამხას, რომ მუდმივო თაყვანისმცემელი გახდეს მისი.

ეოველივე ამას უნდა დრო. დრო კი ფულიად დორს. ეს ისეთი რკინის კანონია, რომელსაც ჩვენი ვერ შეეცვლიათ,

ჩვენი დევიზი უნდა იყოს: „რაც შეიძლება ნაკლები ხარჯით, მაქსიმუმში დირსებულებისა შექქმნათა. უნდა მოხდეს კონტენტრაცია იმ ძალთა, რაც დღეს ასე დაბნეულად იხარჯება და გაძლიერდეს სხალი სსუალებით. ცხად სყოფელად ჩემის ხარისა ზვიღებ შემიდებ მაცალითს. მას შემდეგ, რაც „ლატია“ დაიწერა, 1907 წლიდან, იგი დადგმულა ჩვენს სტენაზე 35-ჯერ (ვანკარიშობთ თრთაშუა რინხვით 3 წარმოდგენას წელიწადში თბილისისათვის, 2 ქუთაისისათვის 7 წლის განმავლობაში, ეს ანტარში ზეღნაწვენით არ არის, მკრანსიმინდვალეს ეთანხმება).

ამ 35 წარმოდგენისათვის, 25-ჯერ მაინც მუშაობა ხელახლად დაწყებულა და 25-ჯერვე ხელახალი ხარჯი გაწეულა, მკრან მკურნებელი ეს მოხმარება სხვადსხვად დორს. ბოლოს მაინც ერთხელად არ დადგმულა „ლატია“ უნაკლოდ.


აქედან მე ასეთი დასკვნა გამომიყვას: ჩვენ უსათუოდ პირველადვე უნდა მოვამზადოთ ზეუსა შესაფერისად, უნაკლოდ, ერთხელ სთავებშივე ჩაუვართ ის სსუალებას, რაც შეგვეძლება და რაც ასე უთავბოლოდ სხვადსხვად დორს და ნაწილნაწილად იხარჯება. ამ გზით ჩვენ შექქმნით მუდმივ დირებულებას, დაყინვით ხელოვნების ზრდილებელ მოთხოვნადებათ, დაყავამყოფილებით სსოტადობას და ნაკლები ხარჯით ივილებით მეტ შემოსავალს.

ხოლო ამ დებულების განსახორციელებ-

\*) ქართველი მკურნებელი არ არის ასეთიო, შეიძლება სთქვას ვინმემ: მას, გარდა ვაკრული ანგარიშისა, სხვა გარძობაც ამაჲმდებოა. ჩემის ღრმა რწმენით, ასეთი მოხედულება უმეტარია: თუ დღეს ქართველი ქველმკმედლების აზრით დაღის ჩვენს თეატრში, ეგ ანომალია, ანომალია უყუღმართი, დამამკირებელი ხელოვნების მსახურთათვის, გამრყენელი ფსიხიკისა, დამღუბელი ხელოვნებისა. დროა შევიგონოთ ეს და დონეზე დავაყენოთ ჩვენი თეატრი, რომ

ქართველს ჩვენს წარმოდგენაზე სიარული კანონიერ მოთხოვნილებად გადავქცეს, თუ დღეს მანათს უმადლოობით იღებს, ხვალ სამ-ოთხ მანათს იძლოვდეს დიდის სიხარულით და ბეჯითად ესწრებოდეს ყოველ წარმოდგენას, რადგანაც დარწმუნებული იქნება, რომ მიიღებს შესაფერისს ჯილდოს თავის დანახარჯისა. ქველმკმედებმა არის ღარიბთა და ლატაკათვის, ჩვენი ჩვენს ხელოვნებას ეგ არ შეშენის.





**მსახიობი ი. უივიძე**

ნოქართა კლუბთან დაარს. ქართ. წარმოდ. მმართველ სექციისა და ხარფუხის კლუბთან არსებულ დასების რეჟისორად მიწვეული

რათ უნდა იყოს მთელი დასა თბილის-ში და არა ნახევარი (ანუ ერთი) და ნახევარი (ანუ მეორე) ქუთაისში? იმიტომ რომ ორი დასის შენახვა უფრო მეტი დაჯდება, ვიდრე ერთისა; მეორეც ისა, რომ ორი ღირებრიცხოვანი დასის უფლებით ერთი სრული დასის უფლებას სწობას.

თანამედროვე სასცენო ტექნიკისთვის აუღლებლად საჭიროა დასის შეზღვევლობის შეიცვლება, რაც უნდა ცოტა ვინაგარიშით, არა ნაკლებ 60 კაცისა. ამას უნდა მივუხატოთ სცენის მუშებიც სხვა და სხვა დარგისა. ამ რიგად აუღლებლად საჭიროა დასისათვის:

2 რეჟისორი, 2 მისი თანამეშვე, 2 სუფელიორი; 10 მსახიობი ქალი; 15 მსახიობი ვაჟი; 15 — ქალი და 15 ვაჟი სალიანგო სცენებისათვის; 3-4 ტექნიკი და 1-იც მათი უფროსი; 4-ნ ბუტაფორი და 1-იც მათი უფროსი; 10-მუშა სცენის და 1-იც მათი უფროსი; 5-6 მკერვალი ქალი და ვაჟი; 2-3 მანერ გრემის გამკეთებელი და 1-იც მათი უფროსი, იგივე მხრიკების მკეთებელი.

ამა ყველა ამთ უფლებს შესძლებს ერთი ქალაქი?

ეს შტატი მინიმუმამიშისა, რაც სჭირდება დღევანდელ წარმოდგენას, ხოლო ამის განხორციელება ჩვენ შეგვეძლება მაშინ, როდესაც შესაძლებელი იქნება სკოლის რამდენიმე პაესათ განისაზღვროს, ხოლო წარმოდგენების რიცხვი ციცილებით მეტი იქნეს, ვიდრე დღეს, ე. ი გექონდეს სულ 10-12 პაესა და თვითუფი წარმოვადგინოთ რამდენიმე ჯერ (მაგ. 10 ჯერ).

ყოველივე ეს დღეადი შესაძლებელი გახდება, როდესაც საქართველოს ორ დიდ ცენტრში თბილისსა და ქუთაისში გვექნება ერთი ტიპის თეატრი.

ეს მოსაზრება არ არის მომენტის ნაყოფი, არამედ დიდი ხნის ნააზრი და ნაზრახია. ამ საკითხს მეტად დიდი ყურადღება სჭირდა და იმედი მაქვს ჩვენი დღევანდელი საზოგადოებრივების მესვეურნი ჯეროვან ყურადღებას მიაქცივენ და სისრულეში მიიყვანენ კადრს. წინააღმდეგ შემთხვევაში ხსნა არ არის და მარტო თბილისისათვის თეატრის აშენება, რასაკვირველია კარგი იქნება, მაგრამ თვით საქმეს, ჩვენს ხელდასახებას ჯეროვან სამსახურს ვერ გაუწევთ. ეს იქნება ისევე შეუძლებელი. ეს იქნება ძველი ტიპით სიარული, ეს იქნება დაბრუნება, შენობა ჩვენი წინსვლადობის დიდი ხნით და შენობება კი ხელდასახებაში — როგორც სვეთ ვსთქვი — სიკვდილია ქნელოვნობისა.

ამ იმედი გამოვიჩინე იმდენ აზრის სიმწიფეს და ვისარებებლემ დღევანდელი მკვლამრებით სავსებით და არა ნახევრად და მით გახსნათ ჩვეს წმიდათა წმიდას, ჩვენს სამლოცველო ტაძარს, რომელიც დღეს ერთადერთი სრულიად თავისუფალი და წესებულება ჩვენთვის, სხვანაირად ქართველს მთელი არსება სცოცხლობს თამამად, ღაღად და თავისუფლად.

**აკაკი ფალავა**



**ქვეყნის მანათობელი**

(დასასუული. იხ. „თ. და ც.“ № 35)

ვაგვეგონებთ გიორტეც; — დამწერი „ფაუსტისა“. ქვეყნის წლის ბავშვი ფიქრობს იმაზე, თუ რა არის ღმერთი, რა არის სულის უკვდავება და ძალიან უმადყოფილოა, რომ ვერ წარმოიდგენს სახეს ღმერთისას. ბავშვობიდანვე გიორტეც გამოიჩინა ფრიად დიდი ნიჭი ენების-შესწავლისა; იგი სთხოვს რომანს, საღაც დღები და ძმები ერთმანეთს სწორწერილებს; ხოლო რომანში ისეა გამოყვანილი, რომ უფროსი მამა ნემენკურ ენაზე სწერს თავის წერილებს, მეორე — ინგლისურზე, მესამე — ფრანგულზე, მეოთხე — ლათინურზე და მეხუთე — ებრაულზე. გიორტეც ბავშვობა


ბისას მალ-მალ დაიარებოდა ებრაელების სამლოცველოში და მღვდელმთავართ უსმენდა ქადაგებას... რას წარმოადგენს გიოტეს „ფაუსტი“ და რა სახელი დაუტოვა მან კაცობრიობას,—ამაზე ლაპარაკი კი შეტია.

აი, მოიგონეთ რაფაელიც. ბავშვი მხატვარ მამას ჰშველოდა სახელოსნოში მუშაო-

ტიკად ჰქონდა აკრძალული და ნაბრძანები, რომ ამ რვეულს არ მიჰკარებოდა. ბავშვი კი იმის ოცნებაში იყო, თუ როგორ ჩაეგდო ეს რვეული ხელში. ერთ მშვენიერ დამქს სურვილიც აისრულა: რვეული შკაფიდან გამოაცოცა; შემდეგ, ექვსი თვის გენმავლობაში პატარა იოჰანნე იღებდა რვეულს, ესუყვარულეობდა და მთვარიან ღამეში მამის ჩემად სწერდა რვეულიდან მელიდიებს. დაჰრავდა რივრავს და ბავშვიც უკანვე სდებდა ხელთნაწერს. იოჰანნე ამ დროს ათის წლის იყო,—მეტის არა.

მაშ ვილა არის ვილლი ფერერო, რომელსაც მთელი ევროპა დღეს აღტაცებაში მოჰყავს? (იხ. „თ. და ც.“ № 33). ვილლი ფერეროც ერთი იმათაგანია, ვისხედაც ზემოთ ცოტა რამ გაუწყეთ. თუ ვილლი ფერეროს ნიქის ზრდას ხელი შეეწყუა, მომავალში იგი კაცობრიობას ჰენიოს მემუსიკედ უნდა მოველინოს. ბავშვს არა ჩვეულებრივი ნიქის გამომეტყველებს არც სიკვდილსა და არც გადაგვარებას არ უქადის. ჩვენს ულაზათო და უფერულს ცხოვრებას ესაქირობიან ამისთანა ბუმბერაზნი ხელოვნებაში, მეცირებაში. მაშ დაუმაღლოთ ზუნებას, რომ იგი არ გვიციწყებს და დროგამოშვებით გავვიწინაებენ ხოლმე მისნი „შუქურნი და თუჩენის“ შვილებს შევაპჩნიეთ ნიქი რისამე, ლტოლვილება და სიყვარული საგნისადმი, ნუ ჩაქვლაფთ, ნუ ჩაფხზობთ უდროვით, ხელი შეუწყით მის ზუნების საჩუქარის ზრდას, ვინ იცის, იქნებ რა აღმოცენდეს ამ საძირკულზე! ბავშვი ნაზი ყვავილია, შეიძლება იგი ისე მალე ჩასქენს, რომ ვერც კი ელირსოს გაზაფხულში ფეხის შედგმა. დეე; საამქვეყნო სისხარულის ბაღში იგინიც ჰყვავოდნენ და ჩვენი სიყვარული და გულითადი გრძნობა მათ ნიქს მფარველად ექმნეს.

ი. კარგარეთელი



რაჰაელი


ბის დროს, მამის ნახატებს იგი გაუსვავდა ფერად და სურათი სავა ელფერს იღებდა... რაფაელის წყურვილი და ძიება სიმშვენიერისადმი ყველასთვის ცნობილია და აკი გამამართლა კდეც! მან შეჰქმნა მთელი ეპოქა ხელოვნებაში.. ჯერ ბევრი საუკუნე გაივლის და მას გვერდში ვერავინ ამოუდგება.

იცით ვინ იყო იოჰან ბახი? ვინ იცის კაცობრიობას რა ჰენიოსი მოველინებოდა, რომ იოჰანნეს ცხოვრების პირობები მკაცრად არ მოჰპყრობოდნენ. მისი მამა—მემუსიკე შვილს არ ანებივრებდა. ფილოსო-



იოჰან ბახი

ფიით უფრო უტენავდა გოგრას, ვიდრე იმით, რაც ბავშვს აინტერესებდა... მამის შკაფში ნოტების რვეული ინახებოდა; იოჰანნეს სას-



მოტორებით გადაზიდვა გერმანულ მძიმეარტილერიისა



# ს ა კ რ ე ბ ი ს ვ ა რ დ ი

შომეჩენება, მიუვლიაო, ვუთარდებოდი მშობლის ნახას, ვუთარდებოდი ნაწინაბ ადგილთ, ვუთარდებოდი ჩემს ქვეყანას. ვუთარდებოდი სამუდამოდ წითელ ვარდებს, ცის ფერ იას... ამ დროს უნებ ცა აისხნა და შეუხეჯ ცის ფერაის, და შეუხდას: „ვიინ, ვინ ახსნას, ვინ გაიგოს ჩემი დარდა?“ სმა არ გამგა, მხოლოდ ზეცით გადმომიგდო სევედის ვარდა. სეველი ვსტატე მე ამ ვარდას, ტრფობით გულში ჩავიკანე, და ზეცვიდან უხალაფის ეს სიტუეუბი გავიგანე: „ვარდი შენი სამშობლოა — სეველ მასზე დამწეული, ცრემლებია შენი ერას შსამ-ნადეკლად დანთხეულია. და მას შემდეგ ვარდას ლოცეებს რიცა ვამბობ, რიცა ვეკესე, ტანჯულ ერას სეველით ვქარგე, და მისსევე ცრემლში ვაღესე.“



**დრამატ. ი გედვეანიშვილი**  
(ქარ. დრ. საზ. გამ. წევ-მდივანი)

...მადლობა ღმერთს: თქვენ თქვენთვის, ჩვენ ჩვენთვის!.. ძლივს არ მოვიცალე მუხის სამსპინძლო!

**ს. წაველი**

## რ ა ს უ ლ ე ლ ი ყოფილა!

— რა უნდა მიამბო, გიორგი, რომ დამირდი?..

— ჰო, გიამბო? გიამბობ, გიამბობ ლევენდას..

— მიამბე, შენი ზღაპრები მუდამ მართობენ?..

— მხოლოდ გართობენ? მაშ ვიწყობ. იყო ერთი მშვენიერი ქვეყანა, სადაც ყოველ ბრძენი მეფე გამგებლობდა. იმ მეფეს ერთი მზეთუნახავი ქალი ჰყავდა: თვალნი მისნი ისეთი შავნი და უძირონი იყვნენ, ვით თვალნი შენნი და... ჰა, რად მოილოებლე, გმეყინა, აღარ გიამბო? მაშ კარგი... გიშრის ცხრა ნაწინავი შევ დამესავით შემოხვევდა მის ბროლის ყაყარა ყელს. რადა ვთქვა ბევრი. მარცხლაც ლამაზი იყო. მრავალი ახალგაზრდა ეტრფილდებოდა, ღირსი მისი კი გაჰხდებოდა მხოლოდ ის, ვინც მეფის ასულს უკუდავების ოქროს ვაშლს მოუტანდა, რომელიც ცხრა მთას იქით იყო და მცველად გარს გველემშაბი ერტყა მრავალი ქაბუკი ეცადა ბედს, მაგრამ ამაოდ იღუპებოდნენ, — გველემშაბის მსხვერპლი ხდებოდნენ.

მგოსანი ერთი იყო სასახლის კარზე, რომელსაც შეუყვარდა ასული იგი და მოახსენა მეფეს თავის გრძნობანი. განრისხდა მეფე.

— შე სულელი, ვილაც მოხეტიალეს, უთვისტომოს.

— მართლაც და რა სულელი ყოფილა!..

— „უთვისტომოს მოვცე ქალი ჩემი? და ვინაიდან მეფე უკან იყო, შეიცავა მრისხანება და მოსთხოვა მოეტანა ვაშლი, თუ შესძლებდა.

ბით, სადაც ყოველ ფეხის გაღადგამზე შავი სიკვდილი დაპარპაშობდა და ყველას სთავაზობდა და იბატოტებდა თვის შავ-ბნელ სასახლეში. მაგრამ მგოსანი არ შედრცა: თავის სამამურ ჩანგის ჟღერით წინ მიისწრაფოდა. იარა დიდ-ხანს და არც შეწყვეტილა ჩანგის სასიყვარულო ჟღერა. ეახლა გველემშაბს. შესანიშნავ მცველი უკვდავების ვაშლისა, მიხვდა მგოსნის გრძნობათ ჩანგის ჟღერაში, თვით მოსწყვიტა სანატრელი ნაყოფი და გადასცა მგოსანს.

— „წმინდა სურვილითაა აღტყინებული გული შენი და წმინდათვე ჟღერს ჩანგი შენი. წაიღე ახლა და კვლავ აღარ გიხილო სამფლობელოსა ჩემსას.“

წამოვიდა მგოსანი სულ-ამაღლებული და ეხლა მეფეს.

— მოვიტანე ვაშლი უკვდავებისა.

მეფე გაჰკვირდა, კი არ დაიბნა და მყის ბრძანა:

— მომეც ვაშლი ეგე და შენ კი, ჯალათო, მოსქერ უსიტრცხვოს სულელი თავი.

შეჰკრთა მგოსანი და ესლა სთქვა: „მოკვდები, მაგრამ წმინდა სიყვარულით...“

მეფემ ვაშლი და მშვიდებით წაიღო, რათა გამხდარიყო უბერებელი და მოსტულებოდა სა ქვეყანა.


მგოსანს ჯალათმა მზის ამოსვლისას, როს ბუღბუღი ემშვიდობებოდა სატრფოს, რომელიც მზისგან ბოლოს მოჰკვდებოდა, და ჰაერში იკმეოდა სადიდებლი ჰანგები, სწორედ მაშინ მოჰკვითა თავი და მის სვეტაკ ალისფერ სისხლით შეჰვება ნორჩი ბალახი...  
— მაშ სულელი არა ყოფილა?!..

— სულელი?!... **ს. კეცხოველი**

გაემგზავრამგოსანი საშინელ საეალ გზე-







**დოლი დრამატულ კრებაზე**

**ალ. წუწუნავა**—გამოდი, გამოდი! მე შენ გიჩვენებ, როგორ უნდა კარტ-ბლანშებით სინეკურების გამრავლება!..

**შალვა მესხიშვილი**—გააჩქრეთ, თორემ ლამის ბრაზით ვავ...  
~~~~~

ლალ ათ თუთხმეტ წელიწადს, იქნება მეტ-საც... მ.დლოჯა ღმერთს! . . . . .

— დებეში, დებეში ომის ველიდან!— დაიძახა ვილაკამ, და წავეკითხეთ:

— მესამე დღეა, ცხარე ომია. მტერს დიდი ზარალი მივაყენეთ. უკან გაბრუნებულს ვეღარ დარჩა აურაცხელი დაქრილი დახოცილები. ჩვენ მოგვივლეს სამიათასი, დაქრილია ხუთიათასი.“

**ბ**

საავადმყოფოში ვაწეკი...  
მეზობელი ოთახიდან მძიმე ავადმყოფის ღრმა ამოოხვრა მესმოდა. ახალგაზდა ქალი იყო.

დერეფანში გამოვედი... ავადმყოფის კარებთან მოხუცი დედამბერი იჯდა და ლოყებს იკაწრავდა:  
— მიკვდება, ესეც მიკვდება... უი, ჩემს თვალებს!

— რითაა, დედაო, ავად?

— ზაფრებით, შვილო, ზაფრებით, შენი ქირიმე... შვილი ომში წამართვეს... ეს რძალია, შენ გენაცვალე, ჩემი. სულ ერთი კვირის ჯვარდაწერილი. ამ უბედურს ვეღარც... ზაფრები მოერია. აბა, რა უნდა იყოს — გუშინწინ მგრცხლებივით მყავდა ორივე... ახლა აღარც შვილის ამბავი ვიცი და ეს ცოცხის შვილი აქ მიკვდება... რა ექნა, რა ექნა მე სამიწეუ... ვაიმე, შვილებო!...

ავადმყოფმა რალაც წამოილულულუდა...  
— მიხედე, დედაო!

ძლივს წამობობლდა და ბარბაცით მივი-

და საწოლთან. ავადმყოფმა წყალი მოსთხოვა. მიაწოდა. შემდეგ მოხუცმა ხელები გამოართვა და ზედ კონა დაუწყო. სწულმა სუსტად გამოართვა ხელები და საკონცენტრაციო გაუწოდა. მოხუცმა აკოცა, აკოცა და წამსვე ნამალავად ბლადდის ყურით ტუჩი მოიწმინდა.

ყველა ეს შეგნიშნე და გავვოციდი... რა იყო ეს?! სიკვდილის შიში, ინსტიკტი, გრძნობა თავის დაცვისა?... მიხრწნილი მახუცი იქნება, დეიძლი შვილისთვის თავს იცავდა რძლის ზაფრებისაგან?...

ვერ ავხსენი მოხუცებულის საქციელი...  
**ბ**

საავადმყოფოში ვაწეკი. .

— ბიჭობა და ვაჟაკობა ფართადაც არ ფსდება ახალანდელი დროის ომში. ორ და სამ ვერსზე თოფი გკლავს და ხუთსა და რვაზე თურმე ზარბაზანი და შენი მკლავის ძალა და მოქნევა ფს...  
— ეს ლემენცი დიდის ცოდნის და ქუჩის ხალხი ყოფილა თურმე. ერთნაირი ზარბაზანი გამოუგონიათო. გაისვრიან და ტყვიასი მისთანა მოწყობილობა თურმე, რომ გასკდება თუ არა, გამოვარდება იქიდან დიდი უშველებელი ქალაღი და ფორტოგრაფია გადაიღებსო მტრის ჯარის ბანაკსა და ბინას და ეს ქალაღი გასწევს და მიუვა თურმე იმით..

— ლემენცი, ლემენცია, მარა არც ფრანცუცი ჩამოურჩება თურმე... იმენსაც გამოუგონიათ ერთნაირი ზარბაზანი. ისვრიან ტყვიას, წავა, მთარ-მოთარს და თუ მოკლა ვინმე, ხომ კარგი, თუ არა და, დაბრუნდება ისეც და შესრიალდება თავის ზარბაზანშიო.  
— ერი ჰა! ეგ ზღაპარია, ძმაო...  
— ისეთივე ზღაპარია, ძმაო, როგორც შენი...

შევიკრიბებოდით ხოლმე საავადმყოფოს დერეფანში და თავს ვირთობდით ამის გვარ მოსულ, თუ გავიხილ უქნაურ და საზღაპრო ამბეგით მტერზე და ჩვენთანებზეც. .



# ს ი ნ ა თ ლ ე

## ნ ა წ ი ლ ი მ ე ო რ ე

(გაგრძელება. იხ. თ. და ც. № 36)

### მოქმედება პირველი

#### სურათი მეორე

მეფის დარბაზი. თითქოს სამგლოვიაროდ არის მორთული. მორთულობა მძიმე შობებულებებს სტოვებს. მეფე ავთანდილი, სახლთუხუცესი, ვაჟიანი და მცირე ამაღა.

**ავთანდილი** (მოწყენილი, უდროოდ დაბრუნებული, მრისხანე სახით) სახლთუხუცესო, ყველა კარები ხომ ჩაკეტილია, დარაჯები ყველგან სდგანან?..

**სახლთუხ.** დიად, ბატონო ჩემო, დარაჯების რიცხვი გავაზრავლე, რკინის კარებს ფოლადის საღებავით შემოვაკვრევი... შეუმჩნევლად ბუზიც კი ვერ შემოფრინდება..

**ავთ.** ვეზირო, ჩაშალარჩეს ის ავაზაკები?

**ვეზირი.** უმალ აღვასრულე შენი ბრძანება, ჩვენო დიდებავ!.. ჯერ არ გათენებულა იყო, რომ მხეტია ხროვა ხეზედ ეკილა..

**ავთ.** ხა, ხა, ხა... კარგი ოქროს შანდლი ჩაიგდეს ხელში.. ნეტა რამ მოაფიქრებინათ, როგორ გაბედეს, ან რას გახდებოდნენ?

**ვეზ.** ოქროს შანდალს მოპარვა სწაღდათ... მეერ უიარაღოდ?.. ფრინველიც კი ვერ მისდგომია მიუვალ კოშკს და მაგ უგუნურებს რა შეეძლოთ: ისრები დაახალეს დარაჯებმა, და ისე ჩამოგორდნენ საღებავზე, როგორც კენჭები... ჯერ იქვე ჩამოდენმა დალია სული. ახლა ვინც ცოცხალი ვადარჩა, ყველანი ხელთ ვიგდეთ და იქვე დიდროვან კაქლის ტოტებზე ჩამოვკიდე..

**სახლთ.** თვალყურის დევნა, გაფრთხილება გქირავს, მეფე... ხალხი აღელვებულია... შიგა და შიგ მაწანწალები დაძრწინა, აქეზებენ... დამშუღლმა გამხეტებულმა ბრობო ლამის არის ძალას მიმართოს.. ჯარის კაცებშიაც დალატის სუნი სდგას... სასტიკი ზომებია საქირო... ცეცხლი დასაწყისშივე უნდა ჩაქრო, თორემ მთელს შენობას გადაბუგავს...

**ავთ.** გარეშე მტერს მუხრი ავაღინე... ორი სამეფო დავამხე, გავანადგურე და შინაურს ძალღებს ადვილად დავაშოშინებ...

გაცით ბრძანება ხვალ ხარჯის შეგროვებას შეუდგენ, გალაშქრებას ვაპირებ, ოქრო მჭირია..

**ვეზ.** ხედრი ხარკი უკვე ავკრიბეთ..

**ავთ** მერე?...მეორედ გადახდევინეთ და აბა ვინმე უარი სთქვას... თუ ხმა-კრინტი დასძრა ვინმემ, უმალ წუთი სოფელს გამოასალმეთ... არ დანილოთ არავინ... მე მსურს და ასე უნდა იყოს!..

**სახლთ.** ქვეყნის მზეო! მეამბოხეთა შორის, რომელნიც კოშკის აღებას ლამობდნენ, ორნი ცოცხალნი დარჩნენ, გადავარჩინეთ, რადგანაც ეტყობოდათ ბრბოს მეთაურობდნენ... მეტად მიამცნი და ამასთანავე ურჩნი უნდა იყვნენ... მე და შენმა ვეზირმა გადაწყვიტეთ, მოგვგართ იგინი, გამოაკითხე... თუ ჩვენს ჯალათს ჩაგდებ ხელში, მსურათლენას მოუშვებენ და ბევრს რასმეს გამოაქვლანებენ... ჩვენს ხელთ არიან და მაგათი საიქიოს გამგზავრება ადვილზედ ადვილია...

**ავთ.** ბრძნულად მოქცეულხართ... შენვე მოგანდობ მათ გამოკითხვას... გამოცდილი ხარ მაგვარ საქმეებში... თუ ჯალათი ვერას გახდა, ოქროს მიმართე ზოგჯერ ოქრო აუტანელ წამებაზედაც კი უძლიერესია... (შემადისკარის კაცა)

**კარის კაცი.** დიდებულო მეფე! ვილაც მოხუცი გლახაკი გახლავს.. შენი ნახავ სწაღდა.. მეტად საქირო საქმე მაქვსო...

**ავთ.** თუ მოწყალებას იხოვს, მოწყალების გუწებზედ არა ვარ... ვაავლე?..

**კარის კაცი.** მაპატიე დიდებულო! რალაც უქნაური ადამიანია, უფრო მესტირეს წააგავს... ძლიერ საქირო საქმე მაქვსო... დაუთნებით თხოულობს შენს ნახვას... ჩვენებური არ უნდა იყოს. ეტყობა შორიდან მოდის... მთელი ეზო სასახლისა ისე გამოიარა, ერთს ოთხფეხს მისთვის არ შეუწყენია... მოგესხნება რა ანჩლი ძალღობი გვყავს; კაცს ცხენიდან ჩამოავდებენ... გაჩნდა ეს გლახაკი, ძალღებმა ერთი კი წაიწმუკუნეს და აქეთ-იქით კულ-ამოძებულნი გაითანტნენ...



**ავთ.** მეკარემ როგორ შემოუშვა? მაშინ ვერ ვინც კი მოიწადინებს, შემოიჭრება ჩემს სასახლეში... მაშინ სახლშიაც უზრუნველყოფილი არა ვარ?! ჩამოპყდივარ მეკარე ალყის კარის ბოძზე... გლახა კი აქ შემოიყვანეთ.. ვნახოთ რა ჯურის ადამიანია... (ქარის კარს გახსნა) სახლთუხუცესო, თვალყური არ გიქირავს; თუ სასახლეში უწყობაა, სამეფოში რაღა იქნება! იძახი, ლაღატი გარს გვივლისო და სასახლის დარაჯნი და მსახურნი ვერ გაგაწოთენია...  
**ნახლთ.** მამატიე დიდებულო! ვფიცავ, ჩვენს გალავანს ფრინველიც ვერ გადმოსცლდება შეუმჩნეველი... არ მესმის, ვგლახაკი ვინ არის? თუ მიბრძანებ, მე გაივითხვად და გინდ ჯოჯოხეთიდან იყოს მოგზავნილი, შენს მზეს ვფიცავ, ყოველისფერს ვათქმევინებ...

**ავთ.** არა, აქ შემოვიდეს, მე თავად მსურს გამოვიტოხო... შენ იმ ორს ავაზაკს მოუარე. (სახლთუხუცესი გადის, შემოვალენ ქარის კარს და ქაჯათა შეფე, გლახაკად გადატყუა, სტეფანო აქვს)

**ქაჯათა მეფე.** სალამი და დიდება მეფე ავთანდილს...  
**ავთ.** გაგიმარჯოს... ვინა ხარ, საიდან მოდიხარ?... ან ისე როგორ შემოიპარე ჩემს სასახლეში, რომ არავინ შევაჩერა? აღბად უცხო ვინმე ხარ და არ იცნობ მეფე ავთანდილს... ჩქარა სთქვი, რაც სათქმელი გაქვს, შენთვის არა მცალიან... მხოლოდ მოწყალე-ბაზე ნუ დაიწყობ: მოწყალეების გუნებაზედ არა ვარ...

**ქაჯათა მეფე.** შენ დღეგრძელი იყავი, შენი ქირიზე, მე არა მინდა რა... მოწყალეობას შენი ხალხიც უხვად მიძლევს... შორიდან მოვდივარ, სამი სამეფო გადმოვიტრე, მუხლი აღარა მაქვს.. თუ ნებას მიბოძებ, დავჯდები! (ჯდება) დიდი საქმე მაქვს შენთან... დრო ბევრი მჭირია და შენც მოთმინებით აღიქმურე და მომსმინე...

**ავთ.** მოხუცი ხარ, ზრდილობა უნდა იტოლდე... კანდიერება მეჯავრება და შენი ქალბარა ჩემი რისხვისაგან ვერ დაგიფარავს...  
**ქაჯათა მეფე.** ჩემი დრო მრეკვამე... არა რა მსურს რა და არას ვეძებ, ამიტომ

არაფრისა მეშინიან... მე თუ მოვედი, შენთვის მოვედი... ვყოფილვარ ოდესმე აქ... სულ სხვა სურათი მინახავს. ცხონებულ მამიშენის დიდებულ მეფე ჯიშმურის დროს ცხოვრება ჩუხჩუხით გადმოდიოდა... ვარეშე თუ შინაური მეფის დიდებას ვაძიებოდა... ახლა კი...

**ავთ.** (წამოხსტება) ახლა კი რაო? მეფეს აძაგებენ... სწყველიან... უკმაყოფილნი არიან?... ღელავენ?... ამბობენბას აპირებენ... მე რე შენ რა?.. მათი მოციქული ხარ? მსწრაფლ ამოგაგლეჯ მაგ წუწუქ ენას... რას ლაპარაკობენ ხალხში? ჩქარა თორემ...

**ქაჯ. მეფე.** ნუ ჩქარობ და ნუ ჯავრობ. ხალხი--ხალხია. ბრბოკმაყოფილი არასოდეს არა ყოფილა და არც იქნება და თუ იგემებს სინათლის ძალას, მაშინ ხომ სულ გადირევა... ბრბოს, ხალხს მარტო შიში სწამს, მარტო ძალიერსა სცემს... შენ თავად აჩვენე მას სინათლის ძალა და ახლა იგი მარტო სინათლემი ხედავს მაგ ძალას და არა თვით შენში...

**ავთ.** რაო? მაშინ ჩემი არ ეშინიანთ... ხა, ხა, ხა... შენ კი, მოხუცო, იცი რომ ჩემის სახელით ბაღდებს აშინებენ?... იცი რომ სადაც ვფხვს დავდგამ, იქ ბალახიც კი შიშისაგან ხმება? არ ეშინიანთ?..

**ქაჯათა მეფე.** მაშინ რაღას ჰქვითავ რკინის კარებს? რად ამალღებ გალავანს, რად გინდა ამოდენი დარაჯნი? დიად, ეშინიანთ შენი დარაჯებისა, შენი მხედრისა და არა თვით შენი შიში აქვთ... ამა ჩაუგდე ხელში ოქროს შანდალი?... დღეს დარაჯნი და მხედარი მართალია შენი ერთგულნი არიან... მაგრამ ხვალ? ადამიანის გუნება ცვალებადია... ტაროსი იცვლება, შენგელულობდა... მართალია ზამთარს ყოველთვის გაზაფხული მოსდევს; მაგრამ ყველა გაზაფხული ერთნაირი არ არის... წელს გვალვია, გაისად ნოტიო, ზოგჯერ გრივადი დაჰქროლებს, ზოგჯერ დასეტყვავს კიდეც...

**ავთ.** (მაუხლავდება, სტეფანს ხელს) შენც კი, ბებერო, შენ რაღაც კი, რაღაც გაგიგია... სთქვი, თორემ ჩემს მზეს ვფიცავ შენი დაჰვალი ლეშით ყორნებს ვავაძობ...



**ქაჯთა მეფე.** დაცა, დაცა, დიდებულო მეფე... ნუ ჩქარობ და ნუ ცხარობ... გითხარი შენთვის მოვსულვარ, შევლა მწადია...

**ავთ.** სთქვი, რას ლაპარაკობენ ხალხში? რა სწადიათ?..

**ქაჯთა მეფე** გეტყვი, გეტყვი დიდებულო მეფე? დამეშვიდდი და ყური მრგღე (აფხანდილი დაჯდება). ხალხში ზღაპარი გამოუთქვამთ: (სტეფანო)

იყო ავთანდილ ქაბუკი, ოქროს შანდლისა მფლობელი, სინათლის ქვეყნით მოსული, ავისა დამამბობელი.

**ავთ.** ჰო, მე დავამბე გველეშაპი, დავიხსენი მთელი ქვეყანა და მადლობის მაგიერ ამბობებსაც მიპირებენ?..

**ქაჯთა მეფე.** ზღაპარი არ დამიმთავრებია..

მეფედ დავიჯდა ავთანდილ ოქროს შანდლითა ძლიერი, შეება მოჰფინა სამშობლოს, ააღორძინა თვის ერი.. შეხხარის ქაბუკ მეფ საერი, მის სახელს ლოცულობს... მაგრამ დახედეთ, ავთანდილ გადატრიალდა, ორგულობს.. სინათლემ მეფეს აწყინა და ფერიათა წყალობა მოაწყინდა, ოქროს შანდალიც აწ სიბნელეში იფლობა...

სდუმს სალამურიც, მეფემან კვალი დაჰკარგა ნათლის: ველარ დაუკარავს სალამურს, ძალაც ვერ ნახოს შანდლისა..

**ავთ.** არ მჭირია შანდალი და სალამური... ისედაც გაუსწორდები ჩემს მტერს.. ზარს დავცემ, მთელს სამეფოს გავანადგურებ, ცოცხალს არავის დავარჩენ და უჩრბას არ მოვითმენ..

**ქაჯთა მეფე.** ბრბო უგუნურია, მას ძალა სინათლეში ჰგონია და შანდლის ხელთ ჩაგდებას ლამობს.. უგუნურები!.. დღეს მშვიერი, დამონძილი თავის თავს ბურუსში, სიბნელეში ვერ ხედავს, თავის უმწეობას და სხვის ბედნიერებას ვერ არჩევს... ასე თუ

ისე კმაყოფილია თავის ცხოვრებით და უკეთესს არ ეძებს... სინათლის შუქი კი თვალმებს აუხელს, დაანახვებს უთანასწორობას, განსხვავებას და აი სწორედ აქ დაიწყება მისი ტანჯვა... ცოდნა მწვავეა—უცოდინარობა კი ტკიბილი.. მაშ ნუ დაუთმობ მეფე შანდალს, ნუ გააუბედურებ შენს ერს... თუ მეფეს გაუძნელდა შანდლის ხმარება, აბა ბრბო უგუნური რაღას გახდება..

**ავთ.** აკი სცადეს ერთხელ შანდლისა მოპარვა.. ხა, ხა, ხა... წადი, ნახე შიგ კლდის ძირში რამდენი ჰკილია კაკლის ხეზე.. არავის დავინდობ... (შემოდას სსხლთუხუცესი) რა ჰქენი? ხომ გამოჰკითხე?..

**სახლთ.** ჩვენო დიდებავ! ვერა რამ გასქრა.. ვერცა წამებამ, ვერც ოქრომ... გაქვადნენ, კრინტი ვერ დაეძვრინენ... ჯალათებს ოფლი წურწურით ჩამოსდით, გაბრაზდნენ... საშინელება იყო, მაგრამ ავაზაკნი ვერ გამოვტყებთ..

**ავთ.** უხეირონი ხართ.. თოკი ყელზედ ორივეს, მაღლა ჩამოჰკიდეთ..

**ქაჯ. მეფე.** მოიცა მეფე... მაგას ყოველთვის მოასწრობ... მაგრამ რა სარფაა?.. მაგ მიტებს ბევრი რამ ეცოდინებოთ და ყელში თოკ წაჰკირებული კი ვერას იტყვიან... აქ დაიბარე.. ბევრი მივლია, ბევრი მინახავს.. ერთი შეხედვით აღამიანსა ვცნობ.. მარვენეთ ის კაცები.. არ ინანებ.. თუ გავხდი რასმეს,—ხომ კარგი და თუ არა—ე თოკი ხომ მზად არის..

**ავთ.** შემოიყვანეთ ავაზაკები. (სსხლთუხ. გაჯ) შენ, მოხუცო, გონება გიჭრის, როგორც გატყობ... აბა, ეცადე, გამიგე რამე და უხვად დავსაჩუქრებ..

**ქაჯთა მეფე.** შენი წყალობა არ მომაკლდეს.. მე არა მინდა რა.. ერთ ლუკმა პურს ყოველთვის ვიშოვი... ცალი ფეხი სამარეში მიდგას, არაფრის სურვილი მაქვს.. უანგაროდ გემსახურები.. სიმდიდრეც, დიდებაც გამომიცილია, ვერაფრით გამაკვირებ, დავხარბდები..

(შემოჰყავთ პირველი და მეორე პატომარნი, თან მოსდევს სახლთუხუცესი. დარაჯები ძალით დაამსობენ ჰატომარს ატაკსე).

**ავთ.** ხომ კარგად გავიმასპინძლდათ ჯალათი..? ხომ არ მოგაწყინათ?..



**ქაჯო. მეფე** მიუახლოვდება პატიმართ და დატყვევებულს) დიდებულს მეფე, სოფლის ბოლოში პატარა ქოხია, პატარა კარმიდამოთი .. ქოხში მზეთუნახავი ქალი სცხოვრობს.. თვით უშვენიერესი ფერიები მის სიტურფეს შურის თვლით უშვირენ.. (უჩვენებს ზარყელ პატიმარს). იგი ტურფა აი ამ ვაჟაკის ცალია .. (შეაჩვენებს) და ამისი კი ღვიძლი და.. ქოხის წინ მწვანით მოსილი პატარა ეზოა.. ხშირად ამ ეზოში, როგორც ცქეტი ქურციკი, დახტის, დანავარდობს პაწაწა არსენა, (ზარყელ გავისხე) აი, ამ ვაჟაკის პირში შვილია... ცქეტი და მოხდენილი ბავშვია არსენა, მთელი ხალხის საყვარელი .. მასხედ ამყარებს მთელი ერი თავის იმედს... ხალხში რწმენაა, რომ არსენა იგი გმირი გახდება.. მამით გავრთენილი, ხალხის მიერ აღზრდილი, არსენა მიაგნებს ოქროს შანდალსა, ჩაივლებს სალამურს და თავის ერს თავისუფლებას და ბედნიერებას მიანიჭებს... შეიბრალე მეფე უმანკონი — ბავშვი და ქალი, დაიბღღბინა...

**ორივე პატიმარი** დაილოცა შენი ქალარა, მოხუცო!..

**პირ. პატ.** მეფე, პატიბეას არ გთხოვთ, დანაშაული არა მიგვიძღვის რა და ცუდ-უბრალოდ ნუ დააობლებ...

**ქაჯ. მეფე** მეც მავას მოგახსენებ... მოწყენითა ხარ, დიდებულს მეფე... მზეთუნახავი თვისის აღერსით გაგართობს და შენც მას ცრემლებს შეუშრობ .. პატარა არსენა გამოვადგება.. ორივე მოაყვანენ: ქალი

სასახლეში და ბავშვი კი იმ რკინის კოშკში ჩამწყვდიე, დეე ეჭიროს მუდამ ხელში ოქროს შანდალი... რკინის კოშკიდან ვერსად გავა .. შორიდან უშვიროს და ულოცოს ხალხმა... მაშ ასე: ობლებს მოუვლი და ხალხსაც კრუ იმედს გაუქარებ.

**ორივე პატ.** წყველიმც იყავ, ბებერო ძალილო...

**მეორე პატ.** მეფე, დაგვხარე, აგვეკუწე ნაწილ-ნაწილად, ცოცხლივ დაგვმარხე, მზოლოდ მავას ნუ იზამ... არ შექმერის არ ეყადრება შენს დიდებას...

**ავთ** ჰა-ა, ამოიღეთ ხმა. . მაშ გამოტყდით, მიაბმეთ ყოველისფერი, მითხარით ვინ აღლევებს, ვინ აჯერებს ხალხს? რა გწადათ!..

**ვეზირი** სთქვით, მეფე გიბრძანებთ!..

**ორივე პატ.** არა ვიცით რა, ვერაფერს ვიტყვით...

**ავთ.** მაშ რკინის კოშკთან რა გინდობათ?...


**ორივე პატ.** თაყვანი უნდა გვეცა ოქროს შანდლისათვის...

**ავთ.** იმიტომ იერაში მიიტანეთ, ემუქრებოდით დარაჯებსა... ჰა, კიდევ დამცინით.. ვეზირო, აფრინე მხედარნი და ბავშვი და ქალი აქ მომგვარე... (პატიმარებს) ვაათორიეთ აქედან და სხვებთან ერთად კოშკის ძირში ჩამოჰკიდეთ..

**ფ ა რ დ ა**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

*ქაჯო*



**ქ ა რ თ უ ლ ი ს ა ხ ი ო ბ ა**

**მართ. დრამ. დანის მსახობითა ახანაზგობის წარმოდგენა** („დალატი“, ა. წუწუნავას რეჟისარობით) სსხალხა სსხლში 10 გიორგობისთვის სწორედ ქართულ სასცენო ხელოვნებას ზემო აქვთ. ზიეს გაცილებით უკეთ დაიბა, ვიდრე არტ. სსხ თეატრში“ და მსახობისეც თეატრულად ერთა სამად უკეთ სწრულებენ ნაკისრ რელებს; უფლები უკეთანი ისეთის ხელოვნებით და შეგებით სთამაშობდა, რომ სრულს ილიუზიას ქმნიდა და ერთს მეორისგან ვერ განიკვევდიო — უკანასკნელი მოქმდე-

ბს ხომ არა თუ ამ სხადამოსი, არამედ თამაშად შეიძლება ითქვას, რომ უკვლავ დადგმულ დალატითა“ გვირგვინი იყო. ამიტომაც — ამ სხადამოს მრავლად დამსწრე სსხაგადამებაში ხშირად გვიგონებდით — ეს ზიეს ბევრჯელ მინახავს მცერამ ასეთა ესთეტიური საიმოფნება არასდგეს განმიცდა, თითქმ ზიესს რაღაც სხალი სული აქვს ნადგმულით. უსმნდით, უმზერდით ნ. ჩხეიძეს (ზეინაბი) და მრავალტახული საქართველო გესხებოდით თუად წინ, მასთან ერთად იტახებოდით, მასთან ზეადიტაცებოდით.



ბირველი მოქმედება, მეორე და უკანასკნელი ისეთის სიძლიერით შეასრულა, რომ უკეთეს-სიც ვერ წარმოდგენდით; უკანასკნელ მოქმედებაში მისმა შვილის დღეაღმართი გამოწვევებსა სსსოწარვეთილებაში: და მტურსე გამარჯვებით აღფრთოვანებამ უმაღლეს წერტალს ნი:ხწია შ შარაშიე ჩინებულა სულეაიზნ სხინა. ეოველი ნაბიჯი, მიხვრა-მიხვრა, ეოველი გამოხედვა მისი წარმოგადგენდათ აღმოსავლეთის მტარვალს, აღ. უღაბეტიშვილი (ოთარბეტი) გრძინა, მიხვრა-მიხვრით და სსსოგადით რადის შეტებით წინანდელზე უკეთესი იყო. კიდევ ვიტყვით, ამ მისხიობს, ამ რადის შესრულება უკეთ შეუქლან, რომ იმეცადინოს. აღ. იმედაშვილი (დათა), ბიერტა (რუქია), ელ. ჩერქეზიშვილი (მიაკო), ი. სარდალაშვილი (იოსკლი), ბ. კონიშვილი (ხნანა), ან. ქიქოძე (ბახანე), დიდიის დეკორაციებით და სხვათაგანებით ასრულებდნ თავთავის როლებს. ხეყრა სუფარული ვასო პაპიძე (ბესო) წინად უფრო შიგნულშია. ვ. ანაბიძე (კარბაიული) ზოგჯერ რადის ურდინანობით ბრძობადაც, ისე გიგა ივთა უკეთესი ყარაიუსუფთაგანაა. უკანასკნელ მოქმედებაში, რადესაც სილეთში გვლიდან გადაყარდნას მიუსჯის, ისეთის სსსწარვეთილებით გადაჭხელა აივანის გადაღმა, ისე ამოავლინა, რომ მსურეპელთა აღმნიშობიან — მართლ და რა სსსაშარ, ეღურდუმიშა უნდა ჩავარდნილიყო. მეტად სუქსოფო იყო, რთორც ვთქვით, ბოლო მოქმედება და მისში გამოყვანილი ეოველი მოქმედება ბნარა. თრბეღიანი (აღ. შსშააშვილი) და სემბატა (მინდააშვილი) თვისის ტიპიურის ქართული მეომარ-გომარის სხით და ჩნტულბით ისეთი შთაბეჭდილებას სტოვებდნ, თათქა სამრდაც წარმოდგინა გომარინ-გოლათინა ქართულ სტანსაზე ამ ორ სტუების განსხივებებს თითქმის უურადლებს: არ ატყვედნ სიღმე და არც მსურედის უურადლებს ატყვედნ, მაგრამ ნაშფიდად კი დიდ უურადლებს დიდანი უოფილან, ერას წარმოდგენელთა შორის შეინახადით, — თუში, ფსუველი, ქართულთ და სსსა კეთის შვილი ივთავის დროშებით. მოუღა ეს სკან სიღრცხლთ სუხთაყვად: სსსტე ბრძობა გადადიო მუომარინ გზიბდვდენ თავისის ბრძობის წყურველით. ამ სურთს დამწრე სსსოგადობა ხანკლიდვის ტაშით შეეკება, გამოამხეს აგრადვე რეჟისორი ა. წუწუნავა, მაგრამ იგი არ გამო-

სულა. ხსლავზდა დასმა ეს მეორე ნაბიჯი გადასდვა გამარჯვებისკენ და თუ ასე იარა, მიმავალი იმისა.

მეო შენიშვნა: სსსტარა წარმოდგენა უტველად გამოხედვებულ დროსზე დიწყოს. მოქმედების დროს, რაკი ფარდა აწეულთა, დარბაში აღარავინ უნდა შეუშვან. და ძუძუმწოვარ ბავდეიბიანდ წარმოდგენაზე მოსვლაც არავრცა სსსტებულ სსსტარა კარბას წარსარა გავება, ბავშვის შიგა და შიგ ტირილი და აგრადვე ქანდაკის ორვე მხრინდ წამობახილი უახუმიდით, სისწიეა და სისინი მოულ შთაბეჭდილე ას არდვევდა იმედია, ამხანკობის გამოკობა ამ ნაკლს აიგდენს. ერთი შენიშვნაც რეჟისორს: ქართული მეომარობა და ჭარის კტნა არ ნათის ქულავრებით გამოყვანა, გოგობით შეუწინარებელია. სარდალს, უფროსს და მის სულელებს შორის უნდა ივას თუ არა რამე განსხვავება? ერთი შენიშვნაც ბნურშელს (აღ-რახაკი) — ნუ თუ წინადვე იგოდა, რომ ორავლი მოჭკვლავდა, რატომ ერთი ხელა მახინდ არ გააქინა დარბა კვერდელა მოკველ? —

**ქუთაისის თეატრი.** ზოგი კირი მარგებელია, ტუელოდ არ უოქვამს ჩვენს ხალხს. ამ საერთო უბედურების დროს, როცა ყოველის მხრიდან სისხლი იღრბოდა, მტერმა ზვი ზღვის პირზე მდებარე ქალაქებსაც კი ყუმბარებე ესროლა. ქ. ქუთაისში მცხოვრებთ ეს მაინცა და მაინც არ დასიენით დიდ წყლულად. ამის უტყუარ საბუთს დასი იძლევა, რომლის წარმოდგენაც ყოველთვის იღობდა საზოგადოება ცსრება. ბათუმის, ფოთის და სოხუმის მცხოვრებნიც კი თან და თან იყრათ თავს ქუთაისში და აქ კი ერთად ერთი აღვილი სსსტ თავისუფლად თავის მოყრა, ერთმანეთის ნახვა, განმარბობა შეიძლება — თუარტია. ამას კიდევ დეუმბეტ დასის ჩინებული შემაღვრნობა და მაშინ აღვილი წარმოსადგენი კენება, თუ რა ბედმა გაულომა ჩვენს მსახიობებს. ივთაში ექვსი წარმოდგენა იმარბთება თითქმის, საღამოებინანდ და ხალხის ტუეკა არაა.

23 ლენინობისთვის აქაურმა დასმა, მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგინა უკვდავი „უიელი ავოსტა“. უმთავრეს როლებში გამოვლიდნ: მესხიშვილი (ქრილი) ქ. დავითაშვილი (ივლითი) და ბ. ფრანგიშვილი (ბენოზანი). იღობდენ აგრეთვე მონაწილეობის ბ. შალიკაშვილი (დესლევა), ბ. მურუსიძე (მანასე), იშხნელი (დესანტა); და სხ. მესხიშვილი რასაკვირვარა, როგორც სხეული მას ამ როლში, ჩვეულებრივად თამაშობდა. ივლითი არ ჩამორჩენია მას. ბ. ფრანგიშვილი ძლიერ სუსტი გამოდგა თვის როლისათვის. მაგრამ სიერთა შთაბეჭდილება, სანამ მასიურმა სენებმა არ გააფუჭა იგი, კარგი იყო. ამის მიზეზი იყო სწორედ, რომ მილიანი არ იყო განცლა და შთაბეჭდილებაც ნაგლეჯ-ნაგლეჯი გამოვიდა.

ლექსის კითხვამ ხომ... არც ღირს ამაზე ლაპარაკი. მხოლოდ ქ. დავითაშვილისმა შესაბუნა ეს პირითოლად და ფრანგიშვილს შეიძლება ეპატრონა ცული თამაში, მხოლოდ იმტომ, რომ როლი იყოღა. სხვათა შორის ამ მსახიობმა როლი ყოველთვის იცის.



„პატარა კანი“, რომელიც 25 ღვინობისთვის გვარჩევს, იმით იყო შესანიშნავი, რომ ქ. დავითაშვილი ასრულებდა კანის როლი და ბ. გუნიანა მუხა გლეხისას. მეფეს კი თამაშობდა ბ. ციციშვილი, რომელიც ხან და ხან ექსპორტად თამაშობს ხილმდე და ამიტომ როლი, რომელიც არ იყო, ვერ იტყვს კარგად. თუ კი შეიძლება მამაკაცის როლი ქალმა შესასრულოს საერთოდ, ჰო მაშინ ქ. დავითაშვილსა ძლიერ კარგი იყო, მაგრამ ის ხომ ქალია და მასთან ნაზიკ, ვერც კი ასეთ თვისებას მოკლებული იყო. მაშასადამე არა ბუნებრივად ამ როლის ქალისათვის სწორედ ამაში მდგომარეობს. რაც შეეხება გელს (იზხნელი) ქ. მდივანს (მისი ქალი) და ლევანს (მურუსიძე) კარგნი იყვნენ. მასიური სცენები, გასაცარი კია, ძლიერ კარგი იყო. აი მხოლოდ ამ საღამოს მოძრაობდნენ ისინი სცენაზე.

26 ღვინობისთვის საუთუდო საღამოდ უნდა ჩითვალოს მთელ სეზონში. დადგეს „შეშლილი“ და „კრეჩინისკი ქორწინება“ დალი მესხიშვილის მიანწილეობით. აქ შეიძლება გაჩერება და მეტის თქმა ზედმეტი იქნებოდა. არას ვიტყვით „გაროფიგის როლის ასრულებზე, და არც „რასლიუევის“. რადგან ლადის აქ ბადალი არ ყოფილა, არც ყავს და, ვაი, თუ არც ყველას ჩვენს სცენაზე.

შუედარებელი იყო ანას როლიში („შეშლილი“.) ქ. დავითაშვილი. საერთოდ ჩვენს მსახიობ ქალს დრატულ ადგილების გადმოცემა ძლიერ ემარჯვება. მით მხარის უმშუენებდნენ ნელის როლიში მ. მდივანი და ექიმის „შოტავაშვილი“. „კრეჩინისკი ქორწინებაში“ ყველა თავის ალავას იყო. ზოგიერთი შესუბამიობა იყო, მაგრამ მესხიშვილი, როგორც ცენტრალური ფიგურა ისე იტყვდა ყველას უყურადმასწორობა არცელიად შეუშინეველი რჩებოდა.

**L,ami**

**სახალხო სახელწ** ქართ. სახ. წარმ. მმართველ წრის გამგეობამ შაბათს, 8 გიორგობისთვის, სადღესასწაულო საღამოდ გამართა საქართველოს ბატონ-ყმობის გადაცემის 50 წლის შესრულების სახელოდ. საღამოს პროგრამა: 1) ლექცია—„გლეხთა განთავისუფლება საქართველოში“, მ. წულუკიძის მიერ წაკითხული, 2) „არსენა“ ალ. ყაზბეგისა. 1 მოქ. „გლახა ჭრაიშვილი“, სცენები ილი. ჭავჭავაძისა და „მსხვერპლი“ ი. გედევანიშვილისა, 1 მოქ. ბ-მა ლექტორმა დანიშნა ქართულ მწერლობაში ვინ რა მხრით შეგზობა ბატონ-ყმობას (გ. ერისთავი, დანიელ ჭუნჭუაძე, ილი. ჭავჭავაძე), როდის დაიწყო მოძრაობა ბატონ-ყმობის წინააღმდეგ და თან და თან როგორ მოძაწიყდა ეს აზრი, როგორ იყო ყმა—გლეხი განთავისუფლების მიანატრე, პირად თავისუფლების მეძიებელი (ილია ჭავჭავაძის კაცო ყაჩაღი), თან და თან როგორ შეიცვალა, გაცნობიერდა და ვანობო (ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“) მოაწწა, რომელიც უკვე საერთო ბედნიერებისთვის იბრძვის და უთანასწოლმა ხანამ რა გზით წარმოეშა „ლურჯ სალოთიან მებრძოლი“, იმევე კაცო ყაჩაღისა და ვარს შეცვლილი ხატება, როგორ იყო 60 და 80 ინტილიგენცია, ვინ იყვნენ „რაზნო-ჩინციები“ და რა ღდაწი დასდო მესამე დასმა 90 წელში ლურჯ ხალთიანთა გამოძიებულებას და ლექცია თავისი იმით დაათავა, რა ვისურვოვთ გამარჯვება ამ „ლურჯ ხალთიანთ“ წინააღმდეგ კაცოა და ახლანდელ ვან-ს დარჩენილდასო. რამდენადაც შინაარსიანი იყო ბ-ნ მ. წულუკიძის ლექცია, იმდენად ბუნდოვანი და არა მკაფიოთ წაკითხული.

წრის გამგეობამ და ბ-თ ლექტორთაც უნდა უყურებოდნენ, რომ ცოცხალი სიტყვა მხოლოდ მაშინ ასწავებს მიზანს, როცა იგი გარკვევით, მკაფიოდ იქნება წარმოთქმული (განსაკუთრებით ისეთი აუდიტორიის წინაშე, როგორც სახალხო თეატრში). ნამდვილი სიტუელი სასაუბროდ, მტკიცედ გარკვეული სიტუელი, ამა თუ იმ ცნების მკაფიოდ გამოთქმა და სხ.,—აი რა უნდა ამკობდეს სახალხო ლექციას. ხსენებულ საღამოს ლექციისა-კი მისი მრავალსაუცხოვრობის და ბუნდოვანობის გამო შეიძლება ითქვას აუდიტორიის 1/10 ბევრი ვერაფერი გაიგო. ეს კი სამწუხაროა, რადგან, ვიმეორებ, ლექცია შინაარსი არ იყო მოკლებული. სამაგიეროდ წარმოდგენამ უყეთით შთაბეჭდილება დასტოვა. საუცხოვრო არსენა იყო ბ-ნი გ. ფრონისპირელი. განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია ეს ახალკაზმა. ამ სალოთო გლეხი არსენას შემდეგ შესარულა მებატონის როლი (გლახა ჭრაიშვილი), ხილო „მსხვერპლი“ მამასახლისი. სამივე როლი ერთიერთმანეთისაგან გაათავიდა, ყოველი მათგანი ხელოვნურად განასახიერა. და მით გვიჩვენა თვისი ნიჭის მრავალფერობა. ასეთივე იყო მეორე ახალკაზმა მსახიობი მ. ქიაურელი („გლახა ჭრაიშვილი“—იაცო შაიშვილი და „მსხვერპლი“—მისა). იმდენად ხელოვნურად შესარულა ეს ერთი როლი, ერთი მეორისაგან განსხვავებული ხმით, მიხვრამიზებით, გრძობით და მთელის იერიით, რომ ვერ წარმოიდგენდით თუ არივე როლს ერთი მსახიობი ასრულებდა. მსახიობმა გამოიჩინა თვისი მხატვრული გემო და ბუნებრივ ალიო ნაირ ხატებათ ტიპური გაპირივნებისა. ამ ორივე სახიობთ ვურჩევთ, თვით განვითარებას და მამსახიობო ფართე ვანათლებას ბეჯითად მოაპკიდონ ხელი. ზედმეწენით კირვად ასრულებდენ ელ. ციმაჭყელი სილონისა, ლ. ცავარელი—გარსვენა ამავსებ, გ. ჯაბაური ზაქარას და ი მიინდიშვილი—იორამს. მიხდენილი ნინო იყო ჩ. ყიფშიძე. შთაბეჭდილება ცოტათი შერყავს სტარსტმა ბ-მა ფრონისპირელიმაც მოუტარეს მოკვლის ღირსი, თითქო ათურბას გადადისო, ისე დაფირინდა ზაქარას და დენჯარაშიც კირამალა გადაეშვა. ე. გამყრელიძე (გლახა ჭრაიშვილი და გაბუა „მსხვერპლი“) და ელ. ჩერქეზიშვილმა (ქერივი—„გლახა ჭრაიშვილი“) ილიათ აია-მოგნეს საზოგადოება თვისი მაღალ ხელოვნურის თამაშით. კარგება იყვნენ იუ უა (მეორე გლეხი); ს. ტარაშვილი (მოხუცებული მებატონე). არა უჭირდათ რა სვანელს (პირველი გლეხი) და გ. ანაშვილს (მესამე გლეხი). „მსხვერპლი“ თავისი სახალა ე. გელიციძემ (ზაქო მეღუჭენე)—განსაკუთრებით მოკვლეების პირველ ნახევარში, მიხდენით შესადღეს ს. ანკარამ ნატო, ი. ჩოხელის (ზაქო). ა. მეტრეველ ა (ბოჭორიანი). შესადეერი გიგო იყო—კ. ხანანაშვილი. ვარა,—ეს ახალი ცხოვრების მერცხალი გ. ჯაბაურის აღზრულებით სრულიად გაუფრთხილდა ვაქარა; (ცეტოზობა, ჯაბაური ავად იყო!) დანარჩენი ხელს უწყობდენ ანსამბლს. სამივე პიესა რიგობად იყო დადგმული. „შათიროშვილის მიერ, განსაკუთრებით მშეწერის იყო „გლახა ჭრაიშვილი“—კანცელარისა დაწარერის გარეუ თავგებულ მხსდარი გლჭობადა სხვა და სხვა ჯგუფის ტიპები, რომელთა აღმწერლებელი, თუმცა უსიტყვოდ იყვნენ, მანკი მილიან სუარათს ჰქმნიდნენ—მაგ. მ. გელიციშვილი, რ. სალაყია და სხ. რეჟისორს. მმართველ ფარდის აწევადა კარვად მიათვალ- მოათვალეორის დეკორაციები, თორემ კარგი არ არის, რაც შეწენიერი მუარათს უშნოდ წამოიჩირუ-



ლი ხარისხები ანუ დეკორაციის კიდურები მახინჯებენ. არც ისაა კარგი, რომ 8 საათის მაგიერ, ნახევარი საათით გვიან დაიწყეს წარმოდგენა, რის გამოც საღამო ნაშუაღამეების I საათამდე გაკიანურდა. ეს სასჯელია დამსწერ ხალხისა.

**აღმავლობის სხასლხო თეატრში** ქართ. სახ.

წარ. მმართ. წრის მიერ ი. ივანიძის რეჟისორობით კვირას, 9 გიორგობისთვის წარმოდგენილ იქნა ნ. შიუჯაშვილის ფრანგ მწიგნობარი პიესა „მეგობრობა“. პიესა შუთანხმებულის ძაღებით წარმოადგინეს ბოლო მოქმედებამ მაყურებელთ შორის ტირილ ჭეითინი-კე გამოიწვია (ერთ ქალს გულიც შეუღონდა), მაგრამ ამ პიესის წარმოდგენა ისეთი აუდიტორიის წინაშე, როგორც ხსენებულ საღამოს იყო, შეუფერებლად მიგვჩანია: პიესაში აღძრული კოხხები და განსაკუთრებით საუბარი, იქ ბევრი დამსწრეების მიუწოდებელი გამოდგა, თუმცა, ვიმეორებ, უკანასკნელად მოქმედებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრებზე.

შუთანხმად არჩილ ლომაური იყო ი. ივანიძე, მაგრამ მეტად შეუფერებელი გრომი ჰქონდა. პიესით იგი „სახით დატანჯული“, „პაღარა შერთული“ უნდა იყოს, ისეთი კაცი, რომელსაც „ათი წლის განვალობაში თავი მალდა არ აუღია“—მუდმივ შრომაში ყოფილა—და ნამდვილად კი ძალზე შეეწვერა-ულვაშა, ბევრი ბევრი 30 წლის კაცი იყო. ბოლო მოქმედებაში კიდევ ისეთი პარკი დაეკეთა, რომ ქიორის შუღლეს სცემდა (პირველ სამ მოქმედებაში კი მელოტი ჰქონდა). არ გვეჩინა, მელოტს სიბებრეში თმა მოუვიდეს და ისიც ხშირი ჯაგარითუ-ქიორის. ან. კავთელი ხანს კი სცენის მოვარე ქალაი, ხმა საუცხოვო აქეს და როლსაც (თამარი) შეგნებით ასრულებდა; ურჩვეთ ყურადღება მიუპყროს მაგიოდ გამოთქმას და სიტყვის გამო მითყვებს ნუ ჰქლავას. საჭირო იყო აგრედდე, პირველ მოქმედების შემდეგ უფრო მდიდრული სამოსელი ჩაეკეთა. მწიგნობარი ყო ქარაფურტა ვიკტორის როლში ი. სულთანშვილი და სანდრა ვებდრე-ლიძის როლში ა. თავდგირიძე. ამ სცენის მოყვარეებს ურჩვეთ, ყველა როლს ერთის კილოთი ნუ ასრულებს და მუდამ საზე მოღუშული, კოპზე—შეკრული და თავ დახრილი ნუ არის საუცხოვო ეკვიო იყო გ. მარგველაშვილი. ასეთი გულწრფელი, წმიდა გრძნობით აღმსრულებელი როლის იშვიათად გვინახავს. ურჩვეთ ახალგაზდა სცენის მოყვარე ქალს თვით განვითარებას ბეჯითად მოჰკიდოს ხელი. გ. ნინოშვილი უფრო უკეთესი სასანდრა ვებდრეულიძე იქნებოდა, რომ მსგებრული მიხერა-მონხრა იცოდეს და თხსად არ მოხრილიყო, როცა არჩილ თავს უკრავს. ქიხიყელი (ბაღლიძე) მეტად ცმუკვედა, არა-ბუნებრივი იყო, კარგი ევეთიმე იყო მჩანხელი, დანარჩენები ხელს უწყობდნენ, მაგრამ შეუეთსი. იქნებო ხოგვითი სცენისმოყვარე სცენაზე საკუთარი სახით. საკუთარი წვერ ულვაშით არ გამოდიოდნენ, როცა ეს საჭირო არ არის, თორემ იგი სათანადო შთაბეჭდილება ვერ დასტოვებს. საჭიროა მეტი ყურადღება მიეცეს სცენის მოწყობასა და დეკორაციებს. საღამოს გამვე იყო არ. შაიირიშვილი. ერთი შენიშვნა. ვითომ და ლოკებს, რომელნიც ზედ სცენაზე მიდგებულნი, რომ მოაცილებდნენ, უკეთესი იქნება.

—აჩი

**წ ვ რ ი ლ ი ს ა გ ე ბ ე ბ ი**

◀ **თეატრის აღმადგენელ კომიტეტის** თავმჯდომარემ, წინამძღოლმა თავ. ქ. ნ. აფხაზმა პარასკევ საღამოს მიიწვია კომიტეტის წევრნი, აღმასრულებელი ბიუროს ასარჩევად. როგორც შევიტყუე, თანრახვაზე მივლი საქრთველო რაიონებამ დაკონ, გონთეული რაიონი თითო წევრს ჩააბარონ, რომელიც მინდობილ რაიონში შეპკრებს შემოწირულებას.

▶ **ახალა პიესა „ქვის მოღელნი“** ნირველად ქართულ სცენაზე ქართ. დანსის მსახიობთა მიერ მ. ქარაგვის რეჟისორობით წარმოდგენილ იქნება ხვად, 17 გიორგობასთვის, სახალხო სახლში.

▶ **დრამატურგი ი. გედევანიშვილი** შეუდგა სახლი ზიესის წიკრავს ქართულ ინტეგენციის ცხავრ, ბიადს. ზიესსიო ცამოგვანილი იქნება წვენიო მომქმედ სხვა და სხვა ჟგუფთა მიმართულებანი და განსაკუთრებული სახიო ექნება გასმუდი იმ კარგობებს, რამ წვენიო სამოქმედო ძალა ანის, კარგობიც მოაბიუბანს, მაგრამ საქმეკი ვერა კეთდება. რა ანის ანის მაიხეზა?

▶ **ბაქოს დრამ წრე და რეჟისორი შალვა დანიანი** დიადს მუქა თობით აწარმოებენ წრეკანდელს სეხანს. სხვათა შორის, წრასთავი. ჟდამარკმ ბ-მა თაქაქაშვიდამ დრამატურგს ი. ტედეკანაშვილსა სთხავა—ნება მოგვკვი ბაქოს სცენაზე „სახითაჟ“ წარმოვადგინოთ.

▶ **ახალი პიესა „სხცენები“** ასოფიადს მახინჯი ინტელიტენცებია დასწევარ ან. კ.ისამ.

▶ **მსახიობი მ. გვარამე** მიიწვიეს ქუთაისის დრამ. დანსიო.

▶ **ქართ. დრამ დანის ანხანავობას** თბილისის საქაქაქო სპართველომ სხასლხო სხს. ღში წარმოდგენებისთვის თავისუფლად დღვეთა სრულიად უფასოდ დაუთმო, თანხასად მსახიობთა წარმომადგენლების თხხანისა.

▶ **ხარცუხის სხასლხო აუდიტორიაში** იარშპათის, 10 ნოემბერს შესდგა კრება ხარცო ქართ. მმართვერ წრის სცენის მოყვარეთა ამავე წრის გამგეობაში თავანთი წარმომადგენლების ასახევედ. ერთხმად აწჩვედ იქმენ ბ ნინო ა შათიანშვილი და თ. კუკელიძე.

▶ **ვლადიკის სხასლხო თეატრში** კვირას, 16 ნოემბერს, ავლადრ. ქართ. სხს. წარმ. მმართვერ. წრის გამგეობა მართავს არა ჩვეულებრივს წარმოდგენას ქართულ მსახიობთა მონაწილეობით. წარმოდგენილი იქნება ცნობილი ისტორიული დრამა „ღლატი“. გამგეობა დიდის ზეიმით აბირობს ამ წარმოდგენის დადგმას.

▶ **ხ.რცუხის სხასლხო თეატრში** სხასლხო ქართ. წარმ. მართ. წრის გამგეობა სეზონსა სხს. ს მომავალ ხუთშაბათს, 20 ნოემბერს.





საქართველოს სსრ-ის ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრაცია

**კვირას, 16 ნოემბერს**

ავღობრის ქართ. სახ. წარმ. მმართველ. წრის გამგეობა გამართავს არა ჩვეულებრივ წარმოდგენას **ქართველ მსახიობთა მონაწილეობით** წარმოდგენილი იქნება

**ლ ა ლ ა ტ ი**

ღრამა 5 მოქ. ა. სუმბათაშვილისა, თარგ. გ. ყიფშიძისა **მომკმედნი პირნი:**

სოლეიშან ხანა, შაჰინ შადღაილე **საქართველოში**. . . . . ა. ხარდალიშვილი

ზეინაბი. შინა უფროსი **ცოლი**, . . . . .

ქერივა საქართველოს მეფისა . ეფ. მესხი რუქაია, მონა-მხვედაი სოლეიშანისა. ახ. კავთელი ისახან, ზეინაბის გამგელი, ანანას

ცოლი . . . . . კ. ნერქეზაშვილი თათარ-ბეგი, ქართლის გამგებელი

განდგომილი ქართველი . . . . . ა. ავანბე

გაანუ, ამისა ქალი . . . . . ვ. შარტავაშვილი

ანანია გლახა . . . . . ა. ულაბეკიშვილი

ერეკლე, მისი შვილობილი . . . . . ი. უივაძე

დათო, ანანას შვილი . . . . . ჯ. იმედაშვილი

სება-ბერა . . . . . მ. კორაშვილი.

ვანა-იუსუფი . . . . . გ. აბაშიძე

ალ-რაზვი . . . . . გ. მახანელი

ბეგა . . . . . ს. სულთანაშვილი

ბესო . . . . . ვ. აბაშიძე

მაკო, გაიანეს გამგელი . . . . . ა. სავაკი

იბნ-საადი, დანაჯთა უფროსი . . . . . შოგიდაგვანაშვილი

თბილისი | საქართველოს ჯარების გ. ნინოშვილი

სუმბათი | უფროსი ა. თავდგირაძე

მგველნი სოლეიშანისა, ქართველი მხედანნი, მონა-მხვედანი, გლეხნი, მსახურნი და სხვ

დასაწყისი საღამოს 8 საათზე

რეჟისორი **ი. ივანიძე**

მონაწილე გამგე მ. აბაშიძე

**სხალი ქართული**

მოკითხვებზე დასაბუთებულად თბილისში გახდით გამოდის ქ. გორში, კერძოდ ორჯერ — ხუთშაბათობით და კვირით. ცალკე ნომერი ერთი უფრო, დაკვეთით წლის დამკვეთს. ცალკე მანათი. ხელის მოწრა მიიღება: ივ. ავღობრის თან, წ. კ. გ. სახ. მალაზიაში და გაზეთის თბილისელ აგენტთან — ვიქ. მუხანაბრიშვილთან, დუშეთის ქუჩა № 21

**შექსპირი ქართულად!**

**გამოცემა ივანე მაჩაბლის თარგმანებისა.**

მიიღება ხელისმწერია ივანე მაჩაბლის მიერ ნათარგმნ **შექსპირის** რვა ტრადიციის გამოცემა: მებრძოლის მიერ ნათარგმნ **შექსპირის** მახედი: (ჰამლეტი, ოტელიო, მეფე ლირი, მეკეტეა, იულიუს კეისარი, ანტონ-იუს და კლოპატრა, მორიანოსი და რიჩარდ მესამე). — გამოცემა იქნება ერთი ოცნად და შეიცავს ათასამდე გვერდს, დიდი ფორმატისას. გამოცემას დაერთვის ბიოგრაფიები შექსპირისა და ივანე მაჩაბლისა და მათივე სურათები. — ფასი ხელის მწერით: 3 მან. შემდეგ ფასი გადიდებული იქნება. ვისთვისაც ერთად ფასის გადახდა სამძიმოა, — მათთვის ხელისმწერა განაწილებულია სიხს ვადად: **პეილი შემოსატანი — 1 მან.** მეორე — **პირველ ნოემბერს — 1 მან.** და მესამე — **1 მან. 7 იანვარს 1915 წელს.**

წიგნი დარიგდება 1915 წელს თებერვლის განმავლობაში. ხელისმწერა მიიღება **თბილისში:** ქართვ. შორის წერაკითხვის საზოგადოების გამაფრცხვებელ მალაზიაში, და გამოცემლის საკუთარ ბინაზე (ოლოგის ქუჩა, 52) ათეატრის და ცხოვრების რედაქციაში (ქართ. თეატრში) და თათისში მთავარი წიგნიანისა და ოცხელის წიგნის მალაზიებში.

გამომცემელი **კნ. ანასტასია ალექსანდრეს ასული მაჩაბლისა.**

